

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის თამარ ალოვაძის შეფასების შედეგი:

| მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით | | |
|--|---------------|-------------------------------------|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | | <input type="checkbox"/> |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | | <input type="checkbox"/> |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | | <input checked="" type="checkbox"/> |
| მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით | | |
| კრიტერიუმი | მიღებული ქულა | მაქსიმალური ქულა |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 12 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 12 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 16 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 12 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 10 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 5 | 5 |
| ქულათა ჯამი | 67 | 100 |

სახელი, გვარი: გოგა კვიციანი

თარიღი: 26 / 04 / 2024





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კივილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

თამარ ალფაიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

- 1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.
- 1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ ალფაიძე (შემდგომში - „კანდიდატი“).
- 1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.
- 1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 მარტს, ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- 1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 44 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 24 წელზე მეტია, კერძოდ:

- ✓ 2000-2005 წლებში იყო სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ლაბორანტი (თსუ);
- ✓ 2005-2007 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე - მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;
- ✓ 2006-2009 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტში;
- ✓ 2009-2015 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში;
- ✓ 2016-2023 წლებში იყო პროფესორი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში;
- ✓ 2023 წლიდან დღემდე არის კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
- ✓ 2022 წლიდან დღემდე არის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი თსუ-ში.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე - ცესკოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/ მხარდამჭერი/ შემომჭირველი. 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. „კანდიდატის“ ეკუთვნის მიწის ნაკვეთი 2849 მ², მდებარე ვანის რაიონის სოფელი ფერეთაში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია, თუმცა - სტატუსი შეჩერებულია.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატი“ 15 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად. ასევე - 7 შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

„კანდიდატი“ მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში.
კერძოდ:

1) მოსარჩელე იყო სს „ბანკი რესპუბლიკა“, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტა; ფულადი ვალდებულების შესრულება, თბილისის საქალაქო სასამართლო;

2) მოსარჩელე იყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ვალდებულებების შესრულებლობის შედეგად ფულადი თანხის დაკისრება; თბილისის საქალაქო სასამართლო.

ასევე - „კანდიდატი“ დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. მითითებულ საქმეზე ერთი პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი.

2.1.6. „კანდიდატმა“ წარმოადგინა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები:

- ✓ „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება“;
- ✓ „სამართლისა და მორალის ევოლუცია“;
- ✓ „ჰუმანური სამართალი“;
- ✓ „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება“.

2.1.7. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: „ადამიანის საერთაშორისო უფლებები“; The Universite Catholique de Louvain; JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი, ტრენინგი და ა.შ.).

2.1.8. „კანდიდატს“ არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, არც ადვოკატთა ტესტირება აქვს გავლილი.

2.1.9. „კანდიდატი“ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას (იხ: ზემოთ, 2.1.1 პუნქტი).

2.1.10. „კანდიდატს“, საკუთარი ავტორობით/თანაავტორობით, გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები/წიგნები:

- ✓ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები“; თსუ, 2006;
- ✓ „მედია სამართალი“; 2008 (წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად);
- ✓ „შესავალი სამართალმცოდნეობაში“; 2009;
- ✓ „სამართალმცოდნეობის შესავალი“ (მეორე გამოცემა); 2015 (წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად);
- ✓ რეფერირებად ჟურნალში: სამართლებრივი სტატიები „სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება“, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2019წ, მე-3 ნომერი.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www.youtube.com/watch?v=tz-4i6Aluuk>

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. კანდიდატმა პრაქტიკულად ვერ მოახერხა კითხვა-პასუხის რეჟიმში ზეპირი კომუნიკაციის წარმართვა და განაცხადა, რომ მისთვის უფრო კომფორტული იქნებოდა წერილობითი კომუნიკაცია, რადგან გასაუბრების რეჟიმში ვერ ახერხებს ხოლმე ემოციების მართვას თუმცა, მსგავს ფორმატს არ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა, რის შესახებაც კანდიდატისთვის ცნობილია, თანაც იგი პირველად არ მონაწილეობს ასეთ კონკურსში.

ბუნდოვანი იყო კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული კონკურსში მონაწილეობის მოტივაცია.

რაც შეეხება მოსმენის შინაარსობრივ მხარეს, კანდიდატმა პრაქტიკულად ვერ უპასუხა ვერცერთ სამართლებრივ შეკითხვას, ამასთან გაცემული პასუხებიც იყო, ფრაგმენტული, არათანმიმდევრული, არ ყოფილა გამყარებული არგუმენტირებული მსჯელობით და რელევანტური სასამართლო პრაქტიკით.

მაგალითისთვის, საერთოდ პასუხგაუცემელი დარჩა ისეთი შეკითხვები, როგორიცაა: საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები, სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები, განსხვავება ამნისტიასა და შეწყალებას შორის, სეკულარიზმის პრინციპის და სეკულარული სახელმწიფოს ასლი;

ფრაგმენტული იყო და შეიცავდა შეცდომებს ისეთი შეკითხვები, როგორიცაა: ნორმატიული აქტების იერარქია, სამართლიანი სასამართლოს უფლების კომპონენტები, ბრალის და მართლწინააღმდეგობის განმარტება და ა.შ.

შეფასების დროს მხედველობაში ის გარემოებაც, რომ კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების ხარისხზე შესაძლოა, გავლენა მოეხდინა ემოციურ მდგომარეობას, თუმცა ეს ვერ იქნება მის მიმართ ლოიალური მოპყრობის საფუძველი, ვინაიდან ემოციური სტაბილურობაც ერთ-ერთი აუცილებელი უნარია მოსამართლის პროფესიაში და შეფასება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად გაცემული პასუხების მიხედვით.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური

მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მიველი შემდეგ დასკვნამდე:

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის მიმართ კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს კეთილსინდისიერების შემდეგ კომპონენტებს:

- ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;
- ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;
- გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;
- დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით – „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, შეფასების დროს ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, გაითვალისწინება: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

3.2.1. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო სამი წლის განმავლობაში დაატურდება „კანდიდატის“ მიერ 22 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც აღნიშნული კრიტერიუმით შეფასების დროს ნეგატიურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს, რადგან ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ „კანდიდატს“, როგორც მოქალაქეს, არ ავლენს პასუხისმგებლობისა და მოვალეობების სათანადო შეგნებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციით არ იკვეთება სხვა გარემოებები, რაც ქმნის კანდიდატის მიმართ მოქმედი პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის პრეზუმფციის საწინააღმდეგოს მტკიცების საშუალებას, ამიტომ მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3.2.7. მოსმენის და მოძიებული მონაცემების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ არის დამოუკიდებელი და გარე ფაქტორების გავლენის მიუხედავად შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

3.2.3. მოსმენის შედეგების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობის დროს ავლენს კორექტულობას და კოლეგიალურობას, არის თავდაპირველი, კოლეგების მიმართ ავლენს პატივისცემას. იგივეს ვერ ვიტყვი ემოციების მართვაზე, რადგან მოსმენის დროსაც გამოვლინდა, რომ ემოციური ფონი გახდა კომუნიკაციის ხელშემშლელი გარემოება, თუმცა ამ მდგომარეობაშიც კანდიდატის ქცევა და კომუნიკაცია იყო კორექტული და არ გასცდენია ეთიკის ფარგლებს, რაც მაძლევს საფუძველს მივიჩნიო, რომ

ემოციების მართვის ფაქტორის გათვალისწინებითაც „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

3.2.4. მოსმენის და მოძიებული მონაცემების ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა გარემოება, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატს“ აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში, შესაბამისად, მივიჩნევ, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

3.2.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის კანონით განსაზღვრულ ყველა მახასიათებელს, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების¹ ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

4.1.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის „სამართლის ნორმების ცოდნის“² მახასიათებელი შეფასება „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეადგენს 25 ქულას.

იმის გათვალისწინებით, რომ „კანდიდატმა“ შეკითხვების ნაწილი დატოვა უპასუხოდ, ხოლო გაცემული პასუხების უმეტესობა იყო არასრული, ხარვეზიანი და შეიცავდა შეცდომებს, არ შემიძლია გავაკეთო სხვა შეფასება გარდა იმისა, რომ „კანდიდატმა“ გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მინიმალური ცოდნა.

შეფასება ფაქტობრივად სრულად ეფუძნება კანდიდატის მიერ შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომებს და მის წარმატებულ აკადემიურ საქმიანობას.

„სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 12 ქულით.

¹ იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

² კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

4.1.2. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“³ მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 25 ქულით.

„კანდიდატის“ მიერ დაგროვებულ ქულათა ოდენობა პრაქტიკულად სრულად ეფუძნება მის აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას და მიღწევებს, ვინაიდან მოსმენის დროს არ გამოუვლენია ანალიტიკური უნარები, ასევე არ აქვს პრაქტიკული საქმიანობის არანაირი გამოცდილება, რაც შეიძლება გამხდარიყო „კანდიდატის“ უფრო მაღალი ქულით შეფასების წინაპირობა.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 12 ქულით.

4.1.3. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული⁴ „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

„კანდიდატის“ მრავალწლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ფაქტორის გათვალისწინებით, უნდა მივიჩნიო, რომ აქვს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის სათანადო უნარი, შეუძლია აზრის გასაგებად და ნათლად გადმოცემა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შეფასება პრაქტიკულად სრულად ეფუძნება „კანდიდატის“ წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის და სამეცნიერო აქტივობის კომპონენტებს, ვინაიდან უშუალოდ მოსმენის დროს ფაქტობრივად ვერ შედგა ზეპირი კომუნიკაცია და „კანდიდატის“ მიერ საერთოდ არ მომხდარა ანალიტიკური მსჯელობის და ლოგიკური დასაბუთების უნარების დემონსტრირება.

„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 16 ქულით.

4.1.4. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილია „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების“⁵ მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა.

შოძიებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ არის მიზანდასახული და შრომისმოყვარე, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. თუმცა, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ მას არ აქვს არათუ მოსამართლედ ან სასამართლო სისტემაში მუშაობის, არამედ პრაქტიკოს იურისტად საქმიანობის არანაირი გამოცდილება, ასევე მოსმენის დროსაც არ გამოუვლენია მოსამართლის პროფესიისთვის აუცილებელი ემოციური მედეგობა, არსებული მონაცემები არ მაძლევს საშუალებას ვივარაუდო, რომ მას აქვს სათანადო პროფესიული უნარები, რაც მისცემს საშუალებას, წარმატებით განახორციელოს სამოსამართლო საქმიანობა და გაუმკლავდეს მოსამართლის პროფესიულ გამოწვევებს.

³ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

⁴ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

⁵ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

„პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 12 ქულით.

4.1.5. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“⁶ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 10 ქულით.

„კანდიდატი“ აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში რაც მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ მას გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის დიდი ინტერესი, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 10 ქულით.

4.1.6. „კანონის“ 35² მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“⁷ მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35² მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 5 ქულას.

არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დავადგინე რომ „კანდიდატი“ აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის სამუშაო შეხვედრებში, დისკუსიებსა და სემინარებში, სადაც იგი იჩენს ინიციატივას და სხვადასხვა იდეებს წარუდგენს საზოგადოებას. „კანდიდატი“ ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 5 ქულით.

4.2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს“ ჯამურად ვაფასებ 67 ქულით.

ხელმოწერა:



⁶ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-13 პუნქტით.

⁷ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-14 პუნქტით.